

„დროები“ს რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაფოვის სახლში.
წილის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეუბ-
ნის რედაქციის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дრობა»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4
მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ დილს 5 კაპეიკა.

გამოდის ყოველ-ღმე ორშაბათს.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კაპი; პირველზე 16 კაპი. სრულყოფილად დასრუ-
ლი 25 მანათი; პირველი 50 მან., რიგითი სტრიქონზე
ბისა ითვლება მათგან დაფურცლის ადგილის სვა-
ლობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეამოწმებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს
დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს
ავტორს.
„Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и изъ
границы принимаются только въ цент. конторѣ
объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

დროები

საღამო ქართველი მეცნიერის პატივის-საცემლად

წერილი ოდესიდან.

ამ წლის თებერვლის 24-ს უნივერ-
სიტეტის ზალაში იყო გამართული
დისკუსიის ჩვენის ახალგაზდა პროფესო-
რის პეტრე მელიქიშვილის სადოქტო-
რო დისერტაციაზედ. დისერტაცია
ძლიერ მოწონებულ იქნა და მელი-
ქიშვილი ერთხმად მიიღეს პროფესო-
რება თათის წრეში დოქტორის ხა-
რისხით. იმ ღამეს კავკასიელმა სტუ-
დენტებმა მოვიწვიეთ მისი პატივცემუ-
ლი ამხანაგები — პროფესორები, აგ-
რეთვე მისი შვილები, რუსის და
ურთის სტუდენტები, რომელთაც ცხა-
რე სურვილი ჰქონდათ, რომ ჩვენთან
ერთად განეცხადებინათ თავიანთი და-
უვიწყარი მასწავლებლისთვის თანაგრ-
ძნობა, საღამოს ადრე შეკრბენ პრო-
ფესორები და სტუდენტები; ამ დროს
მელიქიშვილს ძველი შეგირდებისაგან
მოუვიდა მოსალოცავი ტელეგრამა და
ზალაში შეიქმნა ტაშის ცემა. სიტყვა
დაიწყო ერთმა ჩვენმა სტუდენტთაგან-
მა ამაშუკვლამ:

„ბატონო პეტრე!

„ბედნიერია ჩვენთვის დღევანდელი
ღმე და აღტაცებით მოგილოცავთ
ქიმიის დოქტორის ხარისხის მიღებას.

„მქვენ გამარჯვებულ მეცნიერებაში
ახალნი წარმატებანი, რომელნიც მც-
ნიერმა კოლეგიამ აღიარა. ეს გარე-
მოება ჩვენთვის დიდად და დიდად სა-

ყურადღებო და სასიამოვნოა და, აი,
შევკრბით, რომ გავიზიაროთ ჩვენი
ფიქრები და გრძნობანი.

„შოველს ეპოქას ახალი მოთხოვ-
ნილება შემოაქვს და ამისათვის იმ
გვარ მოღვაწეობას აძლევს უპირატე-
სობას, რომელიც ამ მოთხოვნილებ-
ას უფრო დააკმაყოფილებს. ჩვენი
საუკუნე მეცნიერების საუკუნეა. ა-
ცობრიობას ბევრი საგნები დასცე-
რიან თავზე ბასრი ხმალივით და ამ
საგნების აღსნას იგი მეცნიერებისაგან
ელის. ამისათვის საზოგადოების შეგ-
ნებული ნაწილი მუშამ თვალ-ყურს
აღვენებს თვითოეულს მის ბიჯს და
არ შეუძლიან მხურვალე თანაგრძნო-
ბით არ მიეგებოს ყოველს მეცნიერე-
ბის წინ წამწევს.

„მქვენ ბ-ნო პეტრე, რომელმაც
მთელი თქვენი არსება მეცნიერებას
მესწირეთ, ყველამ აქ დამსწრემ გუ-
ლითადი მადლობა უნდა შემოგწი-
როსთ.

„მაგრამ ჩვენთვის — ქართველი სტუ-
დენტებისთვის კიდევ უფრო სასარგებ-
ლო და საყურადღებოა თქვენი მო-
ღვაწეობის მეორე მხარე.

„მეცნიერება საყოველთაო კაცობ-
რიულია: ყოველი ხალხის წარმომად-
გენვლთ ერთნაირის სისხარულით ლე-
ბულობს იგი თავის მიმდევართა რა-
მებში; იგი არც გეოგრაფიულ განყო-
ფილებას აღიარებს, არც კანის ფერის
სხვა და-სხვაობას; ყველას შეუძლიან
დასტკებს მისი უხვი ნაყოფით; იგი
ისეთი საუნჯეა, რომ მის კერძო სა-
კუთრების უფლებას ვერაინ დაიჩე-

მებს. მეცნიერება იმ პრინციპით მოქ-
მედობს, რომელიც ჩვენმა უკვდავმა
შოთამ უკვე მეთორმეტე საუკუნეში
წარმოსტკეა: „ვარდა და ნებესა ვი-
ნადგან მზე სწორედ მოეფინების“.

„მაგრამ ვისაც ამ საუკუნეში თავისი
მხრით არაფერი შეუტანია, ის ვერ
ისარგებლებს იქიდან ისე, რომ სი-
ნიდისმა არ წააყვედროს. მქვენ, ერთი
ქართველთაგანი, მოეპარეთ კაცობ-
რიობას მეცნიერების წინ წაწევაში და
ჩვენი ნაციონალური ვალი გადაიხა-
დეთ. აი, ეს არის ჩვენთვის ფრიად
საყურადღებო და კიდევ შემოგწირავთ
წოფელ მადლობას.

„მართალია ჩვენმა მონაწილეობამ
ამ კაცობრიობის შრომაში მხოლოდ
ახლა დაიწყო თავისი ჩენა, მაგრამ მო-
წინავე კულტურული ხალხები თუ
დაუკვირდებიან ჩვენს წარსულს, მაშინ
ამ გარემოებას არ ჩაგვივლიან დანა-
შაულად.

„ჩვენს ისტორიაში იმისთანა დრო
არ მოიპოვება, რომ ქართველს იარა-
ღი ორივე ხელში არ სჭეროდეს და
თუშეცა ყოფილა ოდესმე იმისთანა
ტკბილი წამები, როცა მარტო ცალი
მკლავით შეგვეძლებია თავის დაუარვა,
მაშინ კი მეორე ხელში იარაღის მა-
გიერ წიგნი გვეჭრია. ბოლოს პირ-
უთვნელად განსაჯონ და იმე დაიფი-
ყებენ, რომ ჩვენ მკროპის კარებში
ვიდექით და ფარი ვიყავით მისი. რო-
ცა აზიაში ევლური ხალხები აღიძრე-
ბოდენ თავიანთ დამარღვევლი ძა-
ლით, ჩვენზე ამოიკრიდენ სისხლის-
მწყურვლენ ინსტინქტებს და მერმე

ხშირად აღარ მიიღებოდენ მერობის
კენ.

„ამითი არ ვათავებ ჩემს ხატულებს: თან-
თქვენის და თქვენი ქართველი მეც-
ნიერთ ამხანაგების მეოხებით ჩვენისა
და მთელის კულტურული კაცობრი-
ობის შორის კავშირი არსდება; და
თუ რომელიმე ერის და კაცობრიო-
ბის შორის კავშირა დამკარებული,
ეს პირ-და-პირი მისი ნიშანია, რომ
ერის კულტურა ამადღებულა. რომ
შევეძლოს გაზომვა, თუ რამდენად
მჭიდროა ეს დაკავშირება, ეს ზომა
იქნებოდა ერის განვითარების სწორი
„ხარისხის მაჩვენებელი“.

„მე ვხვით ვსტკვი, რომ მეცნიერე-
ბა საყოველთაოა, ახლა კი ვიტკვი,
რომ მეცნიერება ნაციონალურია და
იმავე უფლებით ვიტკვი, როგორც
წინედ ვიტკვი. მეცნიერებს არ შეუძ-
ლიანთ სრულიად განთავისუფლდენ
იმ შესაზღვრებათა და განსაკუთრება-
თაგან, რომელნიც წინაპრებისაგან
მიიღეს: თითქო განგებით იყენენ
მათთან შეკავშირებულნი. რომ ვინმე
მოინდომოს ყოველივე კავშირი გას-
წვეტოს მასთან, რაც საუკუნოებმა
შეიმუშავეს და გადმოსცეს მას, ეს
იმას ეგვანება, — ზღაპრული მიუნ-
ხგაუხენი რომ ცდილობდა, ქოჩ-ით
ამოეთრია თავისი თავი ტბიდან.

„მჭვი არ არის, რომ ხალხის შე-
მოქმედი გენია ისე ისახება მეცნიერე-
ბაში მეცნიერთა მიერ, როგორც
პოეზიაში პოეტთა მიერ. მაგალითად,
როცა ამბობენ: „ნემეცური მეცნიე-
რება, ჭრანსიული, ინგლისური მეც-
ნიერება, თვითოეულს მათგანს საკუ-

წესები მიცვალებულზე სვანეთში *)

ტირილის ვათაგებისას მიცვალებულს
პაპები წესს აუგებდენ (ლიგლობ — გა-
ლობა) და შემდეგ გაასვენებდენ და-
სამარხავად. მიცვალებულს მთელი
ხალხი მიჰკვება საფლავამდე ამ რიგით:
მიცვალებულს წინ მიუძღვის ერთი
კაცი, რომელსაც ხელში უჭირავს ჯა-
მის მსგავსი ხის ქურქელი და შიგ
უღვეს სამი პაწია პური; პურებ შუა
ღვას ხის სტაქანი თაფლით. ამ ქურ-
ქელს თავისი მოწყობილობით ჰქვია
სვანურად „ლევლუნი“ და წამლებ კაცს
„ლევლუნი მუერვი“. ამ კაცმა საფ-
ლავამდე ისე უნდა იაროს, რომ უკან
არ მოახედოს, თორემ თუ მოახედა,
კიდევ მოკვდება ვინმე მიცვალებულის
ოჯახშიო. როცა საფლავთან მიად-

წვეს, ჯამს იქვე დასდგამს და ამითი
თავდება მისი როლი.

ამ კაცის უკან მოაქვთ მიცვალებ-
ული, მას მოსდევენ: პაპები, კირი-
სუფალი, ქალები და ბოლოს მამაკაცები
ზარით. მამაკაცები ქუდ-მოხდილინი
არიან და ჯოხები ბეჭებზე აქვთ გადა-
დებული იმ ნაირად, რომ ჯოხის ქვედა
წვერი პირ-და პირ ცისკენ არის მიშე-
რილი. როცა მიცვალებულს საფლავში
ჩასვენებენ, მეზარეები ხარს შესწყე-
ტენ. მუდ-მოხდილი ხალხი, კირისუ-
ფალს გარდა, დახურვამდე ქუდს მიწა-
ზე დაადებენ, მარჯვენა მუხლს დაბ-
ჯენს და შემდეგ დაიხურავს. საფლავზე
რჩებიან მარტო მოსაფლავენი; სხვა
ხალხი კირისუფლითურთ მიცვალებუ-
ლის ოჯახში ბრუნდება, სადაც უკა-
ნასკენელმა (ოჯახმა) სადილი უნდა
აქამოს ხალხს. ამ სადილს ეძახიან

„ლაშხვალა“ (სამარხის სადილი) და
შესდგება პურისა, სამარხოს და არა-
ყისაგან. ამ სადილზე წილი ყველას
აქვს და თუ ვინმე ოჯახიდან პირად
ვერ მივიდა სადილზე, მასპინძელი

ვალდებულია კერძი გაუზავნოს სახლ-
ში. სანამ ხალხი ქამას შეუდგებოდეს,
ერთ სოფელთაგანს გამოუტანს ვინ-
მე მიცვალებულის ქუდს და ქა-
მარს, რომელთაც ნახსენები კაცი
გამოართმევს, მერე მიკბრუნდება იქვე
მდგომარე კირისუფალს და შემდეგის
სიტყვებით დალოცავს:

„მერეთო! ამით შესწყვიტე კირი-
სუფლის ოჯახში სიკვდილი და სხვა
კირი, კარგი ფერი შეუტყალე (ე. ი.
კირი მხიარულებად შეუტყალე) და
გადასცემს ქუდს და ქამარს კუთენი-
ლებსამებრ, რომლის შემდეგაც კი-
რისუფალს ნება აქვს მათი დახურვა—
შემოარტყმისა. სასადილოდ დამსხდარი
ხალხი ამ წესის ვათაგებამდე ქამას არ
იწყებს.

სვანეთში არსებობს ჩვეულება —
კირისუფლის შეწვევისა. მიგურია ხე-
ობაში მდებარე სვანეთში ეს შესაწყე-
ვარი (ნაწვარი) შეადგენს მანათის სა-
ღირალ არაყს, მოსავალს, წმ. სამ-
თელს, მარილს და სხვ. ეს უნდა მო-
უტანონ კირისუფალს სახლი-კაცებ-

მა — თვითო კომლმა ცალკ-ცალკე და
სხვა ახლო მონათესავეთ. სხვის-
წყლის ხეობაში მდებარე სვანეთში
კი ეს ჩვეულება შეცვლილია. აქ ახ-
ლო ნათესავი წილებს დამარხვის
დღეს მიცვალებულთან იმდენ ხორა-
გეულობას: სასმელს, პურს და სამარ-
ხოს, რამდენ კაცსაც წაიყვანს ახა-
ზიანა. წამყოლ კაცების რიცხვი
10—20-ღეა. როდესაც მიცვალებუ-
ლის სახლს მიუახლოვდებიან, ზარს და-
იწყებენ და ისე შედიან მიცვალებულ-
თან სატირილად. ხორაგეულობა თანვე
აქვთ. მიცვალებულის დამარხვის შემ-
დეგ ამ ხორაგეულობას მიცვალებულს
უყურთხებენ, შემდეგ დასხდებიან, სა-
დაც ჰსურთ, და თავიანთ მიტანილს
თითონვე შესვამ-შესკამენ, რომლის
შემდეგსახლში ბრუნდებიან. თუ კაცი
თავის სოფლის გარე, მგზავრობაში,
სანადიროს ან სხვაგან საღმე მოკვდა და
თავის სოფელში ასვენებენ დასამარ-
ხავად, მაშინ საჭიროა წინ უძღოდეს
მას პაპი, მეტიანურე ქიანური, ხელ-
ში და კიდევ ერთი სხვა კაცი, რომ

*) იხილეთ „დროები“ № 51.



შინაური ქვეყნობა

თარ ხასიათს, საკუთარ ინდივიდუალობას მიაწერენ.

თქვენნი თანამემამულენი დიდის ალტაცებით აღნიშნავენ, როცა კი ქართულ მეცნიერებას ახალი ძალი შეეძინება, იმ იმედით, რომ ამ ძალთაგან გამოისახება ჩვენი ერის სულიერი მეუფება.

„ნემეცური მეცნიერი არტურ ლენსტი გვარწმუნებს, რომ ქართული პოეზია სახავს კაცის ბუნების ახალს იდუმალ მხარეებსაო. თუკი ეს ასეა, მე იმედი უნდა წარმოვსთქვა, რომ იქნება ქართულმა მეცნიერებამაც, როგორც ხალხის სულიერი თვისების და მისი ჰკუთის შემოქმედი ძალის გამოყენებულმა, თავისებური შეხედულება შეიტანოს ქვეყნიერების შესწავლაში, იქნება ახალი საიდუმლოება აღმოაჩინოს და ამ წიხრად კაცობრიობის აზრის აღფრენა განაძლიეროს.

„აი, ეს მაღალი მისია გავით ქართველი ერისაგან მონდობილი თქვენ და თქვენს მეცნიერს ქართველ ამხანაგებს და თქვენგან ველით ამ მისიის აღსრულებას.

„პატივემულო პ., თქვენ იმ პიონერებს ეკუთვნით, რომელთაც საუკეთესო პირობები უნდა შექმნან: ეკლიანი გზა გაჰყოფონ და შემდგომს შთამომავლობას საფალი გზა გაუადვილონ.

„რომ წარმოვიდგენ თქვენის, როგორც ქართველი მეცნიერის, ამ გვარ მნიშვნელობას, მხიარულებით ავიღებ კათხას და ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს და ქართული მეცნიერების დასაბადებელს.

„ზაუმარჯოს მელიქიშვილს!“
შემდეგ გამოჩენილმა ქიმიის პროფესორმა მერიგომ სთქვა შემდეგი მოკლე სიტყვა:

„მეცნიერება ერთს ერს მეორისაგან არ არჩევს და ჩვენთვის სულ ერთაა, ვინც უნდა შემოვიდეს ჩვენს წრეში, ველიკაროსი, მალოროსი, პოლმელი თუ ქართველი. ჩვენ ყვე-

მელსაც ხელში ჰყავს მამალი. სხანგები ფიქრობენ, რომ მიცვალებულის სული ამ დროს მამალში შედის და მიჰყვება ჰიანურის ხმას სასაფლაოდ. შამისოდ კაცის სული მიცვალების ადგილას რჩება და გზას ვერ აგნებს საიქიოს.

პირველს შაბათს, რომელიც მოჰყვება მიცვალებულის დამარხვას, ქირისუფალი უკლავს საფლავზე პატარა ცხვარს ესრედ - წოდებულს «ვერში ლევევი» (მიწის მსხვერპლი). ეს ცხვარი ათ ყველ - ჩართულ პურიანად (ლეფანე) ეძღვოდა უწინ პაპებს და ახლა მღვდელს. მეორე ამხელა ცხვარი საფლავზევე უნდა დაეკლას მიცვალებულს ერთის წლის გასვლის შემდეგ. ამ ცხვარს «პეტრეს (მოციქულის) მსხვერპლს» ეძახის ხალხი (პეტრე ლევევი). ცხვრის ტყავი და ათ ყველიანი პური აქაც პაპებს და მღვდელს მიაქვს.

მამაკაცებს მიცვალებულზე სამი კვირა უნდა ემარხულოთ, სახსნილო არ უნდა ექამათ. შერევის დროს მიც-

ვალს ერთი თვალთ ვუყურებთ. არავის ეგონოს, რომ ჩვენს წრეში ორი ქართველი მივიღეთ რაიმე სიმპატიის გამო ქართველი ერისადმი: ჩვენ კი არ გვიძინია იგინი, იმათ მოგვეძინეს ჩვენ და დიდის სიამოვნებით გავუშალეთ ხელები ბ. პეტრიაშვილს და მელიქიშვილს, რადგანაც მათ სრული ღირსებით დაიმსახურეს ეს პატივი; დიდად საყურადღებო და სასიქადულოა, რომ ამ მცირე ერმა ასე მცირე ხანს ჩვენს უნივერსიტეტს ორი მეცნიერი შესძინა.

ამის შემდეგ ბოტანიკის პროფესორმა რეინგარდმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „მე ორატორი არა ვარ და ვეკებ, რომ გამოვსთქვა, რასაც ვგრძობ. მაგრამ რასაც ვიტყვი, ის კი გულწრფელი იქნება. ხუთი წელია მას აქვთ, რაც მე სამხრეთისაკენ გავემგზავრე მცენარეების შესასწავლად და ორი წელი დავყავი აფხაზეთში, როგორც ბოტანიკოსი, უმთავრესს ყურადღებას მცენარეებს ვაქცევდი; როგორც ნატურალისტი, ყველაფერს თვალყურს ვადევნებდი, რაც გარემოში მერტყა. თუმცა ადგილობრივი ენა არ ვიცოდი, მაგრამ ბეჯითად დარწმუნებული დავრჩი, რომ ძველსიის ხალხნი უხვი ნიქით არიან დასაჩუქრებულნი. ღა სრული იმედი მაქვს, რომ იგინი იმისთანა მაღალს კულტურულ ცხოვრებად მიაღწევენ, როგორამდისაც სხვა მეროპიელმა ხალხებმა მიაღწიეს.“

შემდეგ ჩვენმა სტუდენტმა ჩარკვიანმა ნება აიღო ორიოდ სიტყვა ეთქვა სამშობლო ენაზე, და დაახლოვებით შემდეგი სთქვა: „ბ.ბ. როგორც დღეს წარმოითქვა, ქართველი ხალხი მუდამ ბრძოლაში იყო და მისი ბასრი ხმალი და მაგარი მკერდი თრგუნავდნენ და აკვირებდნენ მტერს. ღღეს, როცა ჩვენი ცხოვრების ჩარხი იცვალა და სხვა პირობები შემოგვივიდნენ, ხმალი ხელი გავუშვით და იმას მივე-

ვალებულს სუფრა უნდა ეკურთხოს, რომელზედაც ჰკლავენ წვრილ-ფეხს საქონელს და ჰპატივობენ მახლობელ ნათესავთა.

ღელაკაცების მარხულობის ვადა კი ერთი წლიდამ სამს წლამდე გასწევდა. მე ვიცი ერთი მოხუცი ღელაკაცი, რომელიც ცხრა წელიწადი იყო მარხულად, რადგანაც ზედი-ზედ ერთი მეროპის შემდეგ ყოველ სამის წლის თავზე, მოუყვდა ორი შვილი და ქმარი. ძაღლების შერევის დროსაც, როგორც კაცებისა, მიცვალებულს საკურთხი უნდა გაუკეთდეს; განსხვავება აქ მარტო ხარჯში იყო, ესე იგი ქალების შერევის დროს უფრო ბევრი დაპატივებული ხალხი ეყოლება ქირისუფალს და ამისათვის მეტი ხარჯიც მოუყვა. მოხდებაც ვიცე, რომ რამოდენიმე ქალი, ერთი და იმავე მიცვალებულისათვის მარხულნი, (ღელა, ცოლი, დები) ერთად გაიხსნილებენ. როდესაც მასპინძელს საკურთხი მზად ჰქონდა, პაპი (ახლა მღვდელი) აკურთხებდა მას. საკურთხი განაღებულნი უნდა ყოფილიყო წმ.

შურეთ, რითაც სხვა მეროპის ხალხნი არიან ამაღლებულნი: ჩვენმა პატარა ერმა მისცა კაცობრიობას რამოდენიმე პირი მეცნიერების ასპარეზზე და იმედია, რამდენადაც მაგარი ვიყავით ჩვენ ხმლით, იმდენად მაგარი შევიქმნებით გონებითაც.

მეორე სიტყვა ქართულად წარმოსთქვა სტუდ. აფხაზმა, რომელიც დაახლოვებით შემდეგია:

„იმ მნიშვნელობის გარდა, რომელიც დღეს თქვენს მოღვაწეობას სამართლიანად მიაწერეს, მე ვერ დავივიწყებ კიდევ ერთს თქვენი მოღვაწეობის მხარეს, რომელიც არა ნაკლებ საყურადღებოა. თქვენ იყავით და ხართ ჩვენთვის მამის მსგავსი მხრუნველი და ნუგეში, როგორც მატერიალურის, ისე სულიერის მხრით. მისურვებ, რომ კვალდაც არ გაგვეყვიტოსთ კავშირი ქართველ სტუდენტობასთან კერძოდ და თქვენს მამულთან საზოგადოდ.“

შემდეგ წარმოსდგა ერთი რუსის სტუდენტთაგანი და თქვა:

„მე მჯერა, რომ ქართველები ნიქიერი ხალხია; მჯერა, რომ როცა მხოლოდ ცალ ხელში ხმალი სჭერიათ, მეორეში წიგნი ეჭირებოდით. თქვენი წარსული კულტურული სიმადლის კვალი სრულიად არ გამქრალა: მე მაღიწევ რუსის სტუდენტებს, რომ ქართველი სტუდენტებისაგან ვისწავლოთ ცხოვრება, ავიღოთ მაგალითი მათის ერთობისა, რომლის გამო იგინი წარმოადგენენ თითქო ეთის აზრით შეკავშირებულს ერთი ოჯახის შვილებს.“

ბოლოს იჩანეს თავი ქართულმა სიმღერებმა და ლექსებმა, რამაც აღტაცებაში მოიყვანეს ჩვენი სტუდენტები; თვით მათაც სრული მონაწილეობა მიიღეს ჩვენს მხარულებაში და მხოლოდ ნაშუალამეის ოთხ საათზე დაგვილოცეს სუფრა.

სანთლებით. პურთხევის შემდეგ პაპი არაყიანს კათხაში ხორცის ნაჭერს ჩააგდებდა და მიაწოდებდა შესარეველ ქალს, რამოდენიც იქნებოდნენ. ძალი ჯერ მოთქმით იტირებს მიცვალებულს და მერმე მოსვამს კახილამ არაყს, რომელშიაც ხორცის ნაჭერი ჩააგდო პაპიმ.

მართის წლის განმავლობაში მიცვალებულს მისი ქირისუფალი ყოველ სადილ-ვანშამზე მიუჩენს ხოლმე ერთი კაცის ჯერს, კერძს სასმელ-საჭმელს. სანამ ჯალაბი (ოჯახობა) ისადილებს და ივანშამებს, მანამ ერთი კაცის ჯერს დაწყობენ ცალკე სუფრაზე, ხსნილოში სახსნილოს და მარხვაში სამარხოს; რაიმე სასმელს, თუ აქვთ, თუ თუნებან ყალიონს, თუ მიცვალებული ეწევოდა. ამავე სუფრაზე დასობენ ანთებულ წმ. სანთელს და ერთი ოჯახის წევრთაგანი, რომელიც ცოტა მოშორებით დგას საკურთხ სუფრაზე, შეუთვლის მიცვალებულს შენდობას შემდეგის სიტყვებით: (რასაკვირველია სვანურად) „შენდობილ იყავ, შე საბ-

== ბარონ სუტენერს დაუსრულე-ბია ნემეცური თარგმანი კუფხის-ტუფასის და ამ საგნის შესახებ თანაგრძნობის წერილიც მოსვლია საუკეთესო თანამედროვე ნემეცების პოეტის ძირიღრინ ბოდენშტეტისაგან. მთარგმნელს იმედი აქვს, რომ „მეფხის-ტუფასის“ ნემეცურს ენაზედ ამ გამოჩენილის მწერლის წინა-სიტყვაობით გამოსცემს.

== თუ სანამდის მიაღწევს ჩვენი სამაზრო პოლიტიკების დაუდევრობა, აი, ერთი ამის მაგალითი: ბრაკალისა და მასპის სტანციებს შორის მტკვარს გამოუგლია ვილაც უცნობის გვამი. ამაზედ თუმცა მაშინვე აცნობეს პოლიციას, მაგრამ დღეს აგერ ორი კვირაა და გვამი იქვეაო. მხეცსა და ფრინველს ჯერ არ მიუგნიაო ამ ვილაც საბრალოს გვამისათვის და ნუ თუ ამას ელოდებიან და დღემდის არ ახდენენ არავითარს განკარგულებასაო.

== თელავიდამ გავწერენ; „დღეს, მარტის ცხრას, აქაც დაკვდა პოლიციამ სომხების სკოლები. მოსწავლეთა მწუხარებას სამზღვარი არა აქვს.“

== მუთაისისა და ხონის შუა გზაზე ამ დღეებში ავაზაკებს მოუკლავთ ორი მოვაჭრე ებრაელი.

== გზეთს „ნოვოკრემის“ სწერებს თბილისიად: „დიდა ხანი არ არის მას შემდეგ, რაც უფხანის მახრამი, შრომის ოჯახის სტანციაში, ადგილობრივ მესაჭრეს გუნდა, რიცხვით თხუთმეტა კაცი, თავს დაესხნენ იქ დაბინადრებულს 1-პატარის 19-აქტიურობის ბრავადის სადგამებს. ამ ჩხუბში ხუთი საღდათი მსუბუქად და-

რალავ, შოისტემ გაგზადოს მის სუფრის მონაწილე. თუ რამე გვედარებოდეს, მიიღე ჩვენგან, რასაც ჩვენ ვერ გავსწედეთ შერი სურვილის დასაკმაყოფილებლად, ის შირისტემ შეგისრულოს. ღა გთხოვთ ჩვენი მზე და მუარველ იყო, რომ დავჩეთ შენის სულის სახსენებლად და შენდობის შესათვლელად“. მათაგებისას კაცი ერთს შემოტრიალდება, დაიჩოქებს, მივა საკურთხთან, ერთს ლუქმას იქიდგან ცეცხლში ჩააგდებს და კიდევ გაათავებს საქმეს.

სავალდებულო საკურთხად მიცვალებულისა ითვლება კიდევ უღავანი* რომელიც აწერილი მაქვს „ლორე-ბაშია 1884 წ. თუ ოჯახს შეძლება აქვს, რასაც მეტს დააკურთხებს მიცვალებულს, ისა სჯობია-

მამაკაცები მიცვალებულზე თმას იყენებენ (ჩაჩ) ერთს წელს. შავებსაც წლის ბოლოს გაიხდიდნენ. ძაღლები ზოგან შერევის დროს იცვლიდნენ შავებს, ზოგან შემდეგ.

თავისუფალი სკანია.



ჭრა, ორა მიამედ და ერთად მოკლულ იქნა.

— ანჯგის თვის განმკლავებაში სპარსეთიდან ბაქოზე გაუტანათ ეკრამში 37,466 მან. და 13 კაპიკის სსგა-დასსგა საქონელი და ეკრამში სპარსეთში 6,600 მანეთისა.

„დროების“ კორმსონდენცია

სოფ. მებში (ქართლი). სოფელი მეტეხი მდებარებს მდინარე მეტეხის მარჯვენა ნაპირზე და უჭირავს მალლობი ადგილი. ამისათვის ჰავა ძალიან გრილია, ქარიც თითქმის განუწყვეტელია ჰქრის. აქა სცხოვრობს 177, მოსახლე. მათ შორის 27 მოსახლე აზნაურია, და დანარჩენი გლეხნი, რომლებშიაც სომხის სარწმუნოებისა-ნიც ურევია.

მომეტებული ნაწილი მეტეხის მცხოვრებლებისა ლარიბია, თუმცა ხალხი მხნე და მოჰყავს ღვინო, პური, სიმინდი, ქერი და სხვა. აქამდის კიდევ მეტეხელებს არა უჭირდათრა: თითო-ორიოლას ჰყავდა უღელი ხარი, ერთი ან ორი ძროხა. ღიდი ოჯახის იყო, რომელსაც ჰყავდა სამ-ულელა ხარი, ორი ან სამი ძროხა და ცხენიც. მწლა სავანგებოდ ძლიერ იზოენით ამისთანა ოჯახს: დრო გამოიცვალა. ბაჭორდა ცხოვრება; ეხლა უნდა შორს გაგზავნონ სადმე თავიანთ მაცხოვრებელი ძროხა საძოვარზედ ან გაყიდოს. აქ ვერა ნახავთ ერთი ბოხისტოლა მოსახნავს მიწას. შემცირებული მეტეხის ნახირი გაჰყურებს შურიანის თვალით აშურიანის ბაღასს. ამ მშვენიერ საძოვარზე ვეღარ გავა ნახირი, თუ სულზე ორი მანათი არ ძიხცეს, თუმცა ორ-სამ წელიწადს სულზე მხოლოდ ერთს მანათსა ჰხდილობდენ; არზაც მართვა გაჰიროვებულმა ხალხმა მთავარ-მმართველს ეგება მისის მფოხებითაც არის შეგვიმცირდეს საბალახეო, მაგრამ ჯერ შედეგისა არაფერი ვიცით...

ტყის საბაჟეც გამოიცვალა. აქამდის უღელ ხარზე ოთხ მანათს აძლევდენ წლამდის, მაგრამ ეხლა ურმობლივ დაწესდა; ურემი შემა ტყეში ღირს სამი აბაზი, ხარი — ათი შაური, ფიხი — ორი აბაზი, ნალო — ექვსი შაური, ხე — თხუთმეტი შაური. მომატებას თუნდ თავი დავანებოთ და გავიხსენოთ ის, რომ ამ გვარად გარდასახადის ალება გლეხისათვის დიდად სამძიმოა. მართლაც, როგორ ატაროს გლეხმა ყოველთვის ტყეში ფული. იქნება დაჰკარგა. დაჰკარგა და ჩამოვლავა საქმე, — ურემი იქვე დარჩება. ბევრი კი სახე ურემი შეშისა და ფიხისა დარჩენილა და კიდევაც დარჩება ჩოჩეთში „მაიორის“ კარზე საწყალი მეტეხელებისა. ნეტა რად ემართლება ასეთს უჯიათობას... მეტეხის ურემები ვერ დასცდებიან იმ გზასა, საცა ისა დვას. სდვას და სცარცვას საწყალ ხმა-ამოუღებელ მეტეხელებს. ზაგი ერთს, თუ კარგი ხარი და

კამეჩი ჰყავს, შუალამისას აპარებს ურემს „მაიორის“ შიშით. რომ ნახოთ „მაიორის“ მიდამო, სახე აქვს შემა-ფიხით და მინც კიდევ მისი თვალი ჯერაც არ გამძლარა. არც დიდი ვაქარი ჰყავს აქ შემა-ფიხის. იმდენიც არის რომ გაჰყიდონ, რაც „მაიორისაგან“ დატყვევებულ იარაღის დახსნას მოუწდება, კიდევ კარგია; მაგრამ ვინ იყიდის: რკინის გზაც უმხროთ არის, თორემ იმან იცის ტყის გაჩანაგება, როგორც უნდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა ამ შექორეებას ერთი ქირიც ზედ დაერთო: ამ სოფლის ეკლესია გაქურდეს, რითაც დიდი ზარალი მიეცა ხალხსა: ბევრს კარგ სამუშაო დღეს მოსცდა საბრალო მუშა...

მეტეხელი ჰაზა.

უცხოეთი

ავღანის სამეფნი.

„Journal des Débats“-ს სიტყვით რუსეთისა და ინგლისის შორის ამის მოლოდინმა ლონდონისა და ბერლინის ბირჟებზე ფასები საგრძნობელად დასწიესო. მერ დავიჯერებთო, დასძენს ჟურნალი, რომ ბირჟებზე ფასების დაწვეა გამოწვეულ იყოს ასეთის უბრალო მიზეზებითო. ღარწმუნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ინგლისს არა ჰსურს ამის გამართვაო, თუ-კი იგი (ომი) უკიდურესის მიზეზით არ იქმნა გამოწვეულიო. სულანში სანატრელად ვერ მისდის ინგლისს საქმე და ეს არის ერთი უმთავრესი მიზეზი, რომ ბრიტანიის სახელს თითქოს მკრთალმა ფერმა გადაჰკრა. და მამ ცხადია, ამ გარემოებამ აიძულა ინგლისი აღუყრდამოს რუსეთს ყოველივე მოქმედება, რომელიც ინგლისისაგან ომს გამოიწვევდ. ომი არც რუსეთისათვის იქმნებოდა საკეთილ-დღეო, რომ კიდევ მას დარჩეს გამარჯვება. ადვილად წარმოსადგენია საშინელი შედეგი ამ ომისა, რომელსაც ვინ იცის როდეს მოვლება დასასრული. ამას გვიმტკიცებენ ჩინეთისა და სულდანის ომები. რა ერთხელევე ხიფათში გაგებები, თავის დახწვევა გაძნელებდა. მაგრამ სულდანისა და ომანიკის ექსპედიციებს აქვს კიდევ გასამართლებელი საბუთები; აქ ომს შეუძლიან სარგებლობა მოიტანოს, რადგანაც ამ შემთხვევაში ბრძოლაა ატეხილი განათლებულისა და გაუნათლებლის ხალხის შორის. სამწუხაროა შეტაკება ორს მეროპიულ სახელმწიფოთა შორის შორეულ ქვეყნებში, სადაც საშუალო აზიაში. რა სარგებლობა უნდა მოუტანოს მან ან განათლებას და ან თვითონ მებრძოლთ. ბამარჯვება რომ რუსეთს დარჩეს, რა ფასად დაუჯდება ეს მას, რამდენად კიდევ უფრო მეტად ჩამორჩება უკან მეროპას. მერც მეროპა მოიგებს რასმეს ამ შემთხვევაში.

რუსეთს უმეტეს ნაწილად საქმეები აზიაში ექმნება და მეროპას სახელმწიფოთა დამოკიდებულებას სულ სხვა-რიგი სახე დაედება. მეროპის სასწორადი უღება. ჩვენთვის, საფრანგეთისათვისო, სასიხარულო არ იქმნება ესეთი ცვლილებაო, მეტადრე ეხლა და რუსეთიც ამას კარგად უნდა გრძნობდესო, აბოლოვებს ხსენებული ჟურნალი, მაგრამ, სამწუხაროდ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მმართველობა გრძნობს რომელსამე ქვემარტებას, და სხვა-და-სხვა გარემოებათა და მიზეზის გამო ირთულებული ხდება ამ ქვემარტებას გაღუდგეს.

როდესაც ზემოდ მოყვანილი ფრანკული ფრიალ სერიოზული ორგანი ინგლისისა და რუსეთის შორის მორიგების ჩამოგდებას მენატრის, ინგლისური გაზნებები ამტკიცებენ, რომ ეს მორიგება ძნელი მოსალოდნელია, რომ სხვა-და-სხვა გარემოებანი საათით საათზე ხელს უწყობენ რუსეთისა და ინგლისის შორის შეტაკებას. და ყველა ამის მიზეზი, როგორც განმარტებს ნემცური გაზნები „National Zeitung“-ი, ზღადატონის გამოუკვევლი და სიცხადეს მოკლებული პოლიტიკა არისო. რომ რუსებს, რომელთაც შემოიერთეს ძავასია, დაიპყრეს ხივა და ბუხარა, ერთს დროს მერვიც უნდა დაექვემდებარებინათ — ეს ყოველს საქმის მკოდნე კაცს უნდა სცოდნოდა. ორუკისტანის ყაზალების ალაგმვა რუსეთის გარდა არცინ განიზრახა. ლორდ ბიკონსფილდმა თითქოს წინა-იგზადა ყოველივე, რაც დღეს ხდება, 1879 წელს დაღერა აუარებელი სისხლი ინგლისის ჯარისა და დაუმონა აელანისტანი ინგლისის ავტორიტეტს. ამავე დროს ინგლისის ჰუიქობდა შანდაარის დაქვრასაც, ამ ქალაქში ძლიერი რაზმი ბანაკად უდგა მას და აქედამ სულადვილი გზა იყო, როგორც მამული-საკენ, აგრეთვე ჰერათისაკენაც 1880 წლიდან, როდესაც სამინისტროს მეთაურობა ზღადატონმა იგდო ხელთ, ამ პოლიტიკას ბოლო მოელო. ინგლისის ჯარმა დასტოვა შანდაარი და მთელს აელანისტანზე ინგლისის მფარველობას ფრიალ დიდი შეფერხება დაემწნა. ლორდ ბიკონსფილდის პოლიტიკით ინგლისი ყოველს დროს აიძულებდა რუსეთს პატივისცემით მოჰპრობოდა ბრიტანიის მმართველობის უფლებას აელანისტანზე, მას შეეძლო ადვილად შეეჩერებინა ეხლა თვით რუსეთიც, თუ ეს რასმე განიძრახავდა აელანისტანის წინააღმდეგ; და ამ რიგად ამოუგებელიც არ დარჩებოდა ინგლისის ჯარისაგან დანთხეული სისხლი ამ ქვეყანაში. მაგრამ ზღადატონის პოლიტიკამ ყოველივე ეს ვერ შეიგნო და ამის მაგიერად ინგლისის პრემიერი რალაც მორალურს გავლენაზედ ოცნებობს, რომელსაც ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სულ სხვა იქმნებოდა, რომ ინგლისის ჯარი შანდაარში იყოს ამ ჟამად. მაშინ ინგლისელები გულის სიმშვიდით დაუწყებდენ ცქერას

რუსის ჯარების წინა-მხარეებს მტკიცებ ეხლა კი ეს გარემოება ეტკიცება და მოწინააღმდეგეობა მათ.

ჯელოვრაქები

„ჩრდილოეთის სააკენტოსი“

მარტის 12-ს.

ხარკოვი. სამოსამართლო პალატის უკანასკნელ სხდომაზედ მოსმენილ იქმნა პროკურორის დასკვნა და ხაზინისა და დამნაშავეთა ვექილების აზრი ტაგანროვის ტამოქნის შესახებ. პროკურორი ფიქრობდა: კუზოვლევის, ალანოვის, ზებუგვის და ჩუღუც ცომბირში გადასასახლებლად გაგზავნას, შემდეგ ზოგიერთა უფლებათა ჩამორთმევას; დიპსკის — ოლონეცკის გუბერნიამი საცხოვრებლად, მიხაილოვს — თანამდებობად გადაყენებას, ვალიანოს — ტობოლსკის გუბერნიამი საცხოვრებლად უფლებათა ჩამორთმევა; ფული გადახდესთ დამნაშავეთ ხუთჯერ მეტი დადებულს ბაქზედ, საქონლის ფასის მიმატებით. სამოსამართლო პალატის გადაწყვეტილება გამოცხადებული იქმნება მარტის 18 ს.

ქიასტა. ჩინეთის მთავრობამ დაადო ბაქი ჩაის, რომელიც გამაერთმევა მიედველსაც და გამუდველსაც; ერთ გირვანქა ჩაიზედ 15 კაპ. ბაქი დაიდო ამ ამბავს ჯერ კიდევ დამტკიცება ეჭირვება. ვაჭრობა შეჩერდა. ურგიდამ ჩაის გამოტანა ძალიან ძნელდება, რადგანაც დიდი თოვლებია და საზრდოც ნაკლებად არის; დიდძალი საქონელი იხრება სიმშილისაგან; ჩაის გზებში აწყობენ ბნელ დამეგებში სესტად მოჩანს ცის სიწითლე ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ.

ლონდონი. გრანვილმა, როდესაც ავღანის საქმეზედ ლაპარაკობდა ლორდთა პალატაში, სთქვა, რომ ბრიტანიის მთავრობა მტკიცედ ადგია პოლიტიკას, რომელსაც სახეში ინგლისის ინტერესები აქვს, მაგრამ მასთანავე ეცდება, რომ მოხდეს ისეთი მორიგება, რომელიც აკმაყოფილებდეს ყველა ქვეყნების ინტერესებს და დირსებას. ფიქმორისმა გამოაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რომ რუსეთთან მორიგების დროს ჩომამდურად არ იქმნენ გარკვეულნი, თუ რა პუნქტები უნდა ეჭიროსთ რუსეთისა და ავღანის ჯარებს სადავო ადგილზედ. პენჯეში მოხდენილს აჯანყებაზედ არავითარი ცნობა არ არის.

მარტის 13-ს.

ამბარბურში. ცენტრალურს ბანკს რუსის საადგილ-მამულო

